

# კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9  
2019 წლის 19 აპრილი

ქ. კასპი

„კასპის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## მუხლი 1

„კასპის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №34 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 28/12/2018; 190020020.35.149.016387) დამტკიცებული დანართი №1, შეიცვალოს ახალი დანართი №1-ით.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლეონიძე

დანართი №1

## კასპის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება         | 2018 წლის ფაქტი |         |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|--------------------|-----------------|---------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                    | 2017 წლის ფაქტი | სულ     | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                    |                 |         | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები        | 11313.0         | 16056.4 | 4540.3                                                | 11516.1              | 18568,4         | 6473,9                                                | 12094.5              |
| გადასახადები       | 3917.5          | 4600.0  | 0.0                                                   | 4600.0               | 9382,5          | 0.0                                                   | 9382.5               |
| გრანტები           | 6021.8          | 8271.2  | 4540.3                                                | 3730.9               | 6648,9          | 6473,9                                                | 175.0                |
| სხვა შემოსავლები   | 1373.7          | 3185.2  | 0.0                                                   | 3185.2               | 2537.0          | 0.0                                                   | 2537.0               |
|                    |                 |         |                                                       |                      |                 |                                                       |                      |
| ხარჯები            | 7492.3          | 8224.1  | 16,4                                                  | 8207.7               | 8649.2          | 0.0                                                   | 8649.2               |
| შრომის ანაზღაურება | 1377.7          | 1386,0  | 0.0                                                   | 1386,0               | 1478.9          | 0.0                                                   | 1478.9               |



|                                 |        |        |        |        |         |        |         |
|---------------------------------|--------|--------|--------|--------|---------|--------|---------|
| საქონელი და მომსახურება         | 1795.0 | 1151.1 | 0.0    | 1151.1 | 1172.1  | 0.0    | 1172.1  |
| პროცენტი                        | 240.9  | 122,4  | 0.0    | 122,4  | 141.0   | 0.0    | 141.0   |
| სუბსიდიები                      | 3318.0 | 4737.3 | 0.0    | 4737.3 | 4979.0  | 0.0    | 4979.0  |
| გრანტები                        | 12.0   | 0,0    | 0,0    | 0,0    | 0,0     | 0,0    | 0,0     |
| სოციალური უზრუნველყოფა          | 488.0  | 651.3  | 16,4   | 634.9  | 712.8   | 0.0    | 712.8   |
| სხვა ხარჯები                    | 260.7  | 176.0  | 0.0    | 176.0  | 165.4   | 0.0    | 165.4   |
| საოპერაციო სალდო                | 3820,7 | 7832.3 | 4523.9 | 3308.4 | 9919,2  | 6473,9 | 3445,3  |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 5773.7 | 8064.9 | 4868.5 | 3196.4 | 12957,2 | 7158,1 | 5799.1  |
| ზრდა                            | 5838.9 | 8124.9 | 4868.5 | 3256.4 | 12977,2 | 7158,1 | 5819,1  |
| კლება                           | 65.2   | 60.0   | 0.0    | 60.0   | 20.0    | 0.0    | 20.0    |
| მთლიანი სალდო                   | 2091.5 | 232.6  | 344,6  | 112.0  | -3038.0 | -684.2 | -2353.8 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | 400.0  | 400,0  | 344,6  | 55,4   | -3182.0 | -684.2 | -2497.8 |
| ზრდა                            | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0     | 0.0    | 0.0     |
| კლება                           | 400.0  | 400,0  | 344,4  | 55,4   | 3182.0  | 684.2  | 2497.8  |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 400.0  | 400,0  | 344,0  | 55,4   | 3182.0  | 684.2  | 2497.8  |
| ვალდებულებების ცვლილება         | -123.0 | -167.4 | 0.0    | -167.4 | -144.0  | 0.0    | -144.0  |
| ზრდა                            | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0     | 0.0    | 0.0     |
| საგარეო                         | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0     | 0.0    | 0.0     |
| საშინაო                         | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0     | 0.0    | 0.0     |
| კლება                           | 123.0  | 167.4  | 0.0    | 167,4  | 144.0   | 0.0    | 144.0   |
| საგარეო                         | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0    | 0.0     | 0.0    | 0.0     |
| საშინაო                         | 123.0  | 167,4  | 0.0    | 167,4  | 144.0   | 0.0    | 144.0   |
| ბალანსი                         |        | 0,0    | 0,0    | 0,0    | 0,0     | 0,0    | 0,0     |

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილება**  
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება  
თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი |     |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|------------|-----------------|-----|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|            | 2017 წლის ფაქტი | სულ | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|            |                 |     | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |



|                              |         |         |        |         |         |        |         |
|------------------------------|---------|---------|--------|---------|---------|--------|---------|
| შემოსულობები                 | 11378.2 | 16116.4 | 4540.3 | 11576.1 | 18588,4 | 6473,9 | 12114.5 |
| შემოსავლები                  | 11313.0 | 16056.4 | 4540.3 | 11516.1 | 18568,4 | 6473,9 | 12094.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 65.2    | 60.0    | 0,0    | 60.0    | 20.0    | 0,0    | 20.0    |
| ფინანსური აქტივების კლება    | 400.0   | 400,0   | 344,6  | 55,4    | 3182.0  | 684.2  | 2497.8  |
| გადასახდელები                | 13454.2 | 16516.4 | 4884.9 | 11631.5 | 21770,4 | 7158,1 | 14612,3 |
| ხარჯები                      | 7492.3  | 8224.1  | 16,4   | 8207.7  | 8649.2  | 0.0    | 8649.2  |
| არაფინანსური აქტივების ზრდა  | 5838.9  | 8124.9  | 4868.5 | 3256.4  | 12977,2 | 7158,1 | 5819,1  |
| ვალდებულებების კლება         | 123.0   | 167.4   | 0,0    | 167.4   | 144.0   | 0,0    | 144.0   |
| ნაშთის ცვლილება              | 400.0   | 400,0   | 344,6  | 55,4    | 0.0     | 0.0    | 0.0     |

### მუხლი 3. კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 18568,4 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება       | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                  |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                  |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები      | 11313,0         | 16056.4         | 4540.3                                                | 11516.1              | 18568,4         | 6473,9                                                | 12094.5              |
| გადასახადები     | 3917,5          | 4600.0          | 0.0                                                   | 4600.0               | 9382.5          | 0.0                                                   | 9382.5               |
| გრანტები         | 6021,8          | 8271.2          | 4540.3                                                | 3730.9               | 6648,9          | 6473,9                                                | 175.0                |
| სხვა შემოსავლები | 1373,7          | 3185.2          | 0.0                                                   | 3185.2               | 2537.0          | 0.0                                                   | 2537.0               |

### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის გადასახადები 9382.5 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება             | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                        |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                        |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები           | 3917,5          | 4600.0          | 0.0                                                   | 4600.0               | 9382.5          | 0.0                                                   | 9382.5               |
| დამატებული ღირებულების |                 |                 |                                                       |                      | 5682,5          |                                                       | 5682,5               |



|                                                           |        |        |     |        |        |     |        |
|-----------------------------------------------------------|--------|--------|-----|--------|--------|-----|--------|
| გადასახადი                                                |        |        |     |        |        |     |        |
| საშემოსავლო გადასახადი                                    | 1310,1 | 1000.0 |     | 1000.0 | 0,0    |     | 0,0    |
| ქონების გადასახადი                                        | 2607,4 | 3600.0 | 0.0 | 3600.0 | 3700,0 | 0.0 | 3700,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)             | 1796,0 | 2875.0 |     | 2875.0 | 2990.0 |     | 2990.0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)                  | 3,4    |        |     |        |        |     |        |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)                     | 33,1   | 25,0   | 0.0 | 25,0   | 10,0   | 0.0 | 10,0   |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე          | 4,6    | 5.0    |     | 5.0    | 2,0    |     | 2,0    |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | 28,5   | 20,0   |     | 20,0   | 8,0    |     | 8,0    |
| საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე           | 0.0    | 0.0    |     | 0.0    | 0.0    |     | 0.0    |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე                     | 280,7  | 250.0  | 0.0 | 250.0  | 250.0  | 0.0 | 250.0  |
| ფიზიკური პირებიდან                                        | 227,4  | 200.0  | 0,0 | 200.0  | 200.0  | 0,0 | 200.0  |
| იურიდიული პირებიდან                                       | 53,3   | 50.0   |     | 50.0   | 50.0   |     | 50.0   |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე                  | 494,2  | 450.0  | 0.0 | 450.0  | 450.0  | 0.0 | 450.0  |
| ფიზიკური პირებიდან                                        | 23,1   | 70.0   |     | 70.0   | 70.0   |     | 70.0   |
| იურიდიული პირებიდან                                       | 471,1  | 380.0  |     | 380.0  | 380.0  |     | 380.0  |
| სხვა გადასახადები ქონებაზე                                | 0.0    | 0.0    |     | 0.0    | 0.0    |     | 0.0    |
| სხვა გადასახადები                                         | 0.0    | 0.0    |     | 0.0    | 0.0    |     | 0.0    |

## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6648,9 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება                                                                  | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები                                                                    | 6021,8          | 8271.2          | 6648,9          |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | 38,5            | 9.9             | 0,0             |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი                                  | 5983,3          | 8261.3          | 6648,9          |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები                                       | 2807,6          | 3721.0          | 175,0           |
| გათანაბრებითი ტრანსფერი                                                     | 2629,5          | 3546.0          | 0,0             |



|                                                                               |               |               |               |
|-------------------------------------------------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად           | 161,7         | 175,0         | 175,0         |
| <b>ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები</b>                                      | <b>3192,1</b> | <b>4540,3</b> | <b>5539,9</b> |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა | 3175,7        | 4523,9        | 5539,9        |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხა               | 0,0           | 0,0           | 0,0           |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა                                                   | 0,0           | 0,0           | 934,0         |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები                                        |               |               |               |
| პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი                                                   |               |               |               |
| მთავრობის სარეზერვო ფონდი                                                     | 16,4          | 16,4          | 0,0           |

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისჯადვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2537,0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება                                                                       | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|----------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| <b>სხვა შემოსავლები</b>                                                          | <b>1373,7</b>   | <b>3185.2</b>   | <b>2537,0</b>   |
| <b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>                                                  | <b>460,0</b>    | <b>490.0</b>    | <b>480,0</b>    |
| პროცენტები                                                                       | 31,1            | 60.0            | 60,0            |
| დივიდენდები                                                                      | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| <b>რენტა</b>                                                                     | <b>428,9</b>    | <b>430.0</b>    | <b>420.0</b>    |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის                                | 424,4           | 420.0           | 410.0           |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 4,5             | 10,0            | 10,0            |
| <b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>                                      | <b>308,6</b>    | <b>257.7</b>    | <b>177.0</b>    |
| <b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>                             | <b>301,7</b>    | <b>252.7</b>    | <b>172.0</b>    |
| სანებართვო მოსაკრებელი                                                           | 204,4           | 80.0            | 40,0            |
| სახელმწიფო ბაჟი                                                                  | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი                          | 0,0             | 2,4             | 2,0             |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი                                                    | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის           | 0.0             | 0.0             | 0.0             |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის                 | 97,3            | 170.3           | 130.0           |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი                                              | 0,0             | 0.0             | 0.0             |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება                                | 6,9             | 5,0             | 5,0             |



|                                                |       |        |        |
|------------------------------------------------|-------|--------|--------|
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან             | 6,9   | 5,0    | 5,0    |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები               | 589,3 | 2387,5 | 1850,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 15,8  | 50,0   | 30,0   |

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8649.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება              | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი |                                                       |                      | 2019 წლის გეგმა |                                                       |                      |
|-------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
|                         |                 | სულ             | მათ შორის                                             |                      | სულ             | მათ შორის                                             |                      |
|                         |                 |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები                 | 7492,3          | 8224.1          | 16,4                                                  | 8207.7               | 8649.2          | 0,0                                                   | 8649.2               |
| შრომის ანაზღაურება      | 1377,7          | 1386.0          | 0.0                                                   | 1386,0               | 1478.9          | 0.0                                                   | 1478.9               |
| საკონელი და მომსახურება | 1795,0          | 1151.1          | 0,0                                                   | 1151.1               | 1172.1          | 0,0                                                   | 1172.1               |
| პროცენტი                | 240,9           | 122,4           | 0.0                                                   | 122,4                | 141,0           | 0.0                                                   | 141,0                |
| სუბსიდიები              | 3318,0          | 4737.3          | 0.0                                                   | 4737.3               | 4979.0          | 0.0                                                   | 4979.0               |
| გრანტები                | 12,0            | 0,0             | 0,0                                                   | 0,0                  | 0,0             | 0,0                                                   | 0,0                  |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 488,0           | 651.3           | 16,4                                                  | 634.9                | 712.8           | 0,0                                                   | 712.8                |
| სხვა ხარჯები            | 260,7           | 176.0           | 0.0                                                   | 176.0                | 165.4           | 0 0                                                   | 165.4                |

## მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 12957,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 12977,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| კოდი  | დასახელება                                                | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა |
|-------|-----------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 33,5            | 31,4            | 12,0            |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება           |                 | 8,0             | 0,0             |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია  | 4478,6          | 7597.2          | 9913,8          |
| 0400  | განათლება                                                 | 1218,7          | 455.5           | 1997,8          |



|                 |                                                      |               |               |                |
|-----------------|------------------------------------------------------|---------------|---------------|----------------|
| 05 00           | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 108,1         | 32.8          | 1053.6         |
| <b>სულ ჯამი</b> |                                                      | <b>5838,9</b> | <b>8124.9</b> | <b>12977,2</b> |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 20,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება                   | 2017 წლის<br>ფაქტი | 2018 წლის<br>ფაქტი | 2019 წლის<br>გეგმა |
|------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 65,2               | 60.0               | 20,0               |
| ძირითადი აქტივები            | 65,2               | 60.0               | 20,0               |
| არაწარმოებული აქტივები       | 0,0                | 0,0                | 0,0                |
| მიწა                         | 0,0                | 0,0                | 0,0                |

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური<br>კოდი | დასახელება                                                                                                                        | 2017 წლის<br>ფაქტი | 2018<br>წლის<br>გეგმა | 2019 წლის გეგმა |
|-----------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------|-----------------------|-----------------|
| 701                   | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება                                                                                        | 2280,1             | 2211.4                | 2318.0          |
| 7011                  | ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2280,1             | 2211.4                | 2318.0          |
| 70111                 | ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა                                                          | 1954,9             | 2019,0                | 2127,0          |
| 70112                 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა                                                                                                 | 0,0                | 192.4                 | 191.0           |
| 7013                  | საერთო დანიშნულების მომსახურება                                                                                                   | 0.0                | 0.0                   | 0.0             |
| 70133                 | საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება                                                                                              | 0.0                | 0.0                   | 0.0             |
| 7018                  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში                                                   | 0.0                | 0.0                   | 0.0             |
| 702                   | თავდაცვა                                                                                                                          | 85,7               | 105,0                 | 101,0           |
| 703                   | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება                                                                                             | 0.0                | 0.0                   | 0.0             |
| 7031                  | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა                                                                                            | 0.0                | 0.0                   | 0.0             |



|       |                                                                         |        |        |        |
|-------|-------------------------------------------------------------------------|--------|--------|--------|
| 7032  | სახანძრო-სამაშველო სამსახური                                            | 0.0    | 0.0    | 0.0    |
| 704   | ეკონომიკური საქმიანობა                                                  | 1974,4 | 4946.8 | 4127,4 |
| 7042  | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა           | 210.0  | 90.0   | 70.0   |
| 70421 | სოფლის მეურნეობა                                                        | 140,0  | 90.0   | 70.0   |
| 7045  | ტრანსპორტი                                                              | 1834,4 | 4856.8 | 4057,4 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები                                        | 1834,4 | 4856.8 | 4057,4 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები                      | 0,0    | 0,0    | 0,0    |
| 705   | გარემოს დაცვა                                                           | 679,2  | 1889.9 | 2184,5 |
| 7051  | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება                       | 560,5  | 1025.0 | 1025.0 |
| 7052  | ჩამდინარე წყლების მართვა                                                | 118,7  | 864.9  | 1159,5 |
| 706   | საბინაო-კომუნალური მეურნეობა                                            | 3804,9 | 2353.8 | 5746,9 |
| 7062  | კომუნალური მეურნეობის განვითარება                                       | 671.1  | 252.1  | 1478,7 |
| 7063  | წყალმომარაგება                                                          | 2153,7 | 1034.1 | 2762.9 |
| 7064  | გარე განათება                                                           | 384,6  | 1004.7 | 1417,3 |
| 7066  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში        | 669,0  | 62.9   | 88.0   |
| 707   | ჯანმრთელობის დაცვა                                                      | 67.0   | 70,0   | 74,0   |
| 7074  | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება                                    | 67.0   | 70,0   | 74,0   |
| 708   | დასვენება, კულტურა და რელიგია                                           | 2058,1 | 2014.4 | 2685,0 |
| 7081  | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                              | 617,0  | 682.2  | 820,0  |
| 7082  | მომსახურება კულტურის სფეროში                                            | 1269,7 | 1286.3 | 1820.0 |
| 7084  | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა                       | 171,3  | 45.9   | 45.0   |
| 709   | განათლება                                                               | 2585,3 | 2085.0 | 3672,8 |
| 7091  | სკოლამდელი აღზრდა                                                       | 2585,3 | 2080.5 | 2789.5 |
| 7092  | ზოგადი განათლება                                                        | 0,0    | 4.5    | 883,3  |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება                                                | 0.0    | 0.0    | 883,3  |
| 710   | სოციალური დაცვა                                                         | 516,8  | 672.7  | 716.8  |
| 7104  | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                                  | 16,4   | 16,4   | 0,0    |
| 7107  | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 4,3    | 10,0   | 10,0   |



|      |                                                             |         |         |         |
|------|-------------------------------------------------------------|---------|---------|---------|
| 7108 | გამოყენებითი კვლევები სოციალური დაცვის სფეროში              | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 496.1   | 646.3   | 706.8   |
|      | სულ                                                         | 13331.2 | 16349.0 | 17446.5 |

#### მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 3038.0 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 3182,0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 3182.0 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 144,0 ათასი ლარის ოდენობით.

#### მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა მერის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

#### მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 175,0 ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის;
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

2. წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

#### მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 16

##### 1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა. შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.



## **2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

### **ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში დასრულდება: სოფელ ქვემო ხანდაკის გზის და კასპში ვარჯაანის და ე.წ. „მუხის“ გზების რეაბილიტაციის სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ კასპში ბორჯომის ქუჩის „ნატბეურას“ გავლით პაატას ქუჩის გადაკვეთამდე მოასფალტება მოწყობის და კასპის მუნიციპალიტეტში სოფლების ვაკე პანტიანის მისასვლელი ქვემო ჭალასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია-მოასფალტების სამუშაოები.

### **ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა დამის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები, მოეწყობა საკანალიზაციო ქსელი.

#### **ბ.ა) ა(ა)იპ – კასპის კეთილმოწყობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. აღნიშნული პროგრამა კიდევ უფრო გაფართოვდა, ვინაიდან კასპთან ერთად პროგრამაში ჩართულია სოფ. მეტეხსადა სოფ. თელიანში არსებული დევნილთა ჩასახლებები.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებიდან ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში-ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება; ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება

ასევე დაფინანსდება: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და ბაღების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

#### **ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ კასპში კონსტიტუციის ქუჩასა და ოთხ ჩიხზე, ერეკლეს, ვაჟა ფშაველას, მარაბდელის, წერეთელის ქვედა და ზედა ქუჩებზე, კელაპტრიშვილის ქუჩის ორ მონაკვეთზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები.

#### **ბ.გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)**



ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება; განხორციელდება შპს „სოფლის წყალის“ სუბსიდირება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით: კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში თელიანსა და ხოვლეში სასმელი წყლის რეზერვუარების და ქსელის მოწყობის სამუშაოები; წყლის სისტემების მოწყობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

#### **ბ.დ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია და ამხანაგობების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 02 08)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება.

#### **ბ.ე) გარეგანათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 11)**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს, მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც, ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული იქნება გარე განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება.

კასპის მუნიციპალიტეტში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

#### **ბ.ვ) საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 12)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო სამუშაოებისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

#### **გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, ასევე დაფინანსდება: ბაღების, სკვერების და მგზავრთა მოსაცდელელების ექსპლოატაციის ხარჯები.

#### **გ.ა) ბაღების და სკვერების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში კასპში მოეწყობა ორი სკვერი.

#### **გ.ბ) მგზავრთა მოსაცდელეების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპში მგზავრთა 5 (ხუთი) მოსაცდელის მოვლა-შენახვა.

#### **გ.გ) ფასადების აღდგენის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კასპში შენობა-ნაგებობების დაზიანებული ფასადების აღდგენის სამუშაოები.

### **3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს საგანმანათლებლო ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ბავშვებს ჰქონდეთ საფუძველი მათი შემდგომი განვითარებისათვის.



**ა) ა(ა)იპ – კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გახსნა და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1600-ზე მეტი აღსაზრდელი. საბავშვო ბაღები მომარაგდება სათბობი შემთ.

**ბ) საბავშვო ბაღების შენობის რემონტი (პროგრამული კოდი 04 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღების შენობის სრული რეაბილიტაცია.

**გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით, საჯარო სკოლებს ჩაუტარდებათ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

**ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი სავარჯიშო პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

**ა.ა) სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ – „სპორტის დაწესებულებების გაერთიანების“ დაფინანსებას, სადაც ფუნქციონირებს საფეხბურთო სკოლა. 2019 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდობში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში დაგეგმილია სპორტის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მომზადებისათვის სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2019 წლის განმავლობაში დაახლოებით 230 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

**ა.ბ) კასპის სპორტკომპლექსის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – „კასპის სპორტკომპლექსი“, სადაც ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობის წრეები და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას. 2019 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. 2019 წლის განმავლობაში დაახლოებით 532 ახალგაზრდა გაივლის სპორტულ მომზადებას.

**ბ) კოლხურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**



მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის: სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### **ბ.ა) კულტურის სფეროს დაწესებულებების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის კულტურული და გასართობი ღონისძიებების მოწყობა. სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული შემოქმედებითი კოლექტივების გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია შემდეგი სახის კულტურული ღონისძიებების მოწყობა:

- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება;
- ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „არტგენი“;
- სახალხო დღესასწაული „კასპობა 2019“;
- კონცერტი მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით;
- საახალწლო ღონისძიებების კვირეული.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული 20 (ოცი) სოფლის კლუბი და 5 (ხუთი) კულტურის სახლი, სადაც ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი და ქორეოგრაფიული წრეები.

#### **ბ.ბ) სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული ხუთი მუსიკალური სკოლის ხელშეწყობა, სადაც სწავლობს 385-მდე ბავშვი. ასევე დაგეგმილია ქალაქ კასპში არსებული მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, სადაც სხვადასხვა წრეებში გაერთიანებულია 220-მდე მოსწავლე. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს სხვადასხვა კონკურსებისა და ფესტივალების ჩატარების უზრუნველყოფას.

#### **ბ.გ) ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მკითხველების სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვა და ამ დოკუმენტებით მომსახურება, როგორც ადგილზე გაცემით, ასევე ასლების გაგზავნით ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით და საერთაშორისო წიგნთგაცვლის საშუალებით, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, წიგნთმცოდნეობისა და ინფორმაციის დარგში მეცნიერული და მეთოდური მოღვაწეობისათვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობა. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ მიმართულებით წარმოდგენილი სპეციალური პროგრამების მხარდაჭერა, არსებული წიგნადი ფონდის გადარჩევა და მომზადება ელექტრონული საინფორმაციო ბაზისათვის, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით.

#### **ბ.დ) მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც დაცულია ქართული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, სოფელ კოდისწყაროს ტერიტორიაზე გათხრების შედეგად მოპოვებული დიონისეს ქანდაკება და სხვა სამუზეუმო ექსპონატები, ასევე დაფინანსდება ლამისყანის ორბელიანთა სახლ-მუზეუმი, ხოვლის ივანე ჯავახიშვილის, სასირეთის მაზნიაშვილის და კავთისხევის ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმები. ასევე განხორციელდება სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოს შემოღობვის სამუშაოები.



## **ბ.ე) რელიგიური ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 06)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიამონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

## **ბ.ვ) კულტურის ობიექტების შეკეთება (პროგრამული კოდი 05 02 07)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

## **გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობების და ალპინადების მოწყობა. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება. საახალწლო ღონისძიებების ჩატარება.

## **5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

### **ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები.

### **ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას; სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში



უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ბ.ა) ერთჯერადი დახმარებები(პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო და მედიკამენტოზური დახმარება;
- სიმსივნით დაავადებულ პირთა კვლევები და პროცედურები;
- კეთილთვისებიანი სიმსივნით დაავადებულთა სტაციონარული (მათ შორის დღის სტაციონარი) მკურნალობის თანადაფინანსება;
- ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება;
- თვალის ოპერაციის თანადაფინანსება;
- კარდიოქირურგიული ოპერაციის თანადაფინანსება;
- სამედიცინო (ამბულატორიული, სტაციონარული და მათ შორის დღის სტაციონარი) მომსახურების თანადაფინანსება;
- სტაციონარში ხანგრძლივად მყოფი ბენეფიციარის ერთჯერადი სოციალური დახმარება;
- დაავადებულ პირთა დახმარება;
- თირკმლის უკმარისობით (დიალეზი) დაავადებული პაციენტების დახმარება;
- კომპიუტერული ტომოგრაფიის, ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული (მრტ) კვლევის, სცინტიგრაფიის დაფინანსება;
- კორონაროგრაფია, სისხლძარღვების სტენტირება და შუნტირება;
- „C“ ჰეპატიტით დაავადებული ბენეფიციარების დახმარება;
- უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინვალიდის ეტლით დახმარება;
- მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას სოციალური დახმარება;
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარება;
- საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა დახმარება;
- კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ასი და ას წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება;
- სტუდენტებისა დახმარება;
- ხანძრის შედეგად საცხოვრებელ სახლზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ოჯახის დახმარება (მოსარგებლეზე არ ვრცელდება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციის აუცულებლობა);
- აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, სურსათით დახმარების პროგრამა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის, კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ასი და ას წელს გადაცილებული ხანდაზმული მოქალაქეებისთვის და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 1001-მდე;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება.

## ბ.ბ) უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უმწეო მდგომარეობაში მყოფი მუნიციპალიტეტში მცხოვრები 80 ბენეფიციარის ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფა.

## ბ.გ) დევნილთა დასახლებებში გარე განათებებისა და წყლის ტუმბოების ელექტროენერგიის დავალიანებების დაფარვა (პროგრამული კოდი 06 02 06)

კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დევნილი მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუმჯობესების მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დევნილთა დასახლებებში გარე განათებებისა და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვა”.

### მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

|  |  |  |                 |                          |
|--|--|--|-----------------|--------------------------|
|  |  |  | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის ბიუჯეტის გეგმა |
|--|--|--|-----------------|--------------------------|



| ორგ. კოდი | დასახელება                                                  | 2017 წლის ფაქტი | სულ     | მათ შორის                                             |                      | სულ     | მათ შორის                                             |                      |
|-----------|-------------------------------------------------------------|-----------------|---------|-------------------------------------------------------|----------------------|---------|-------------------------------------------------------|----------------------|
|           |                                                             |                 |         | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |         | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|           | კასპის მუნიციპალიტეტი                                       | 13454,2         | 16516,4 | 4884,9                                                | 11631.5              | 21770,4 | 7158,1                                                | 14612,3              |
|           | მომუშავეთა რიცხოვნობა                                       | 149,0           | 133,0   |                                                       | 133,0                | 133,0   | 0,0                                                   | 133,0                |
|           | ხარჯები                                                     | 7492,3          | 8224.1  | 16,4                                                  | 8207.7               | 8649,2  | 0,0                                                   | 8649,2               |
|           | შრომის ანაზღაურება                                          | 1377,7          | 1386,0  |                                                       | 1386,0               | 1478,9  | 0,0                                                   | 1478,9               |
|           | საქონელი და მომსახურება                                     | 1795,0          | 1151.1  | 0.0                                                   | 1151.1               | 1172,1  | 0,0                                                   | 1172,1               |
|           | პროცენტი                                                    | 240,9           | 122,4   |                                                       | 122,4                | 141,0   | 0,0                                                   | 141,0                |
|           | სუბსიდიები                                                  | 3318,3          | 4737.3  |                                                       | 4737.3               | 4979,0  | 0,0                                                   | 4979,0               |
|           | გრანტები                                                    | 12,0            | 0,0     | 0,0                                                   | 0,0                  | 0,0     | 0,0                                                   | 0,0                  |
|           | სოციალური უზრუნველყოფა                                      | 488,0           | 651.3   | 16,4                                                  | 634.9                | 712,8   | 0,0                                                   | 712,8                |
|           | სხვა ხარჯები                                                | 260,7           | 176.0   | 0.0                                                   | 176.0                | 165,4   | 0,0                                                   | 165,4                |
|           | არაფინანსური აქტივების ზრდა                                 | 5838,9          | 8124,9  | 4868,5                                                | 3256,4               | 12977,2 | 7158,1                                                | 5819,1               |
|           | ძირითადი აქტივები                                           | 5838,9          | 8124,9  | 4868,5                                                | 3256,4               | 12977,2 | 7158,1                                                | 5819,1               |
|           | ვალდებულებების კლება                                        | 123,0           | 167,4   |                                                       | 167,4                | 144,0   | 0,0                                                   | 144,0                |
|           | საშინაო                                                     | 123,0           | 167,4   |                                                       | 167,4                | 144,0   | 0,0                                                   | 144,0                |
| 01 00     | წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება | 2280.1          | 2377.3  |                                                       | 2377.3               | 2462,0  |                                                       | 2462,0               |
|           | მომუშავეთა რიცხოვნობა                                       | 149             | 125,0   |                                                       | 125,0                | 125,0   |                                                       | 125,0                |
|           | ხარჯები                                                     | 2159.2          | 2180,0  |                                                       | 2180,0               | 2306,0  |                                                       | 2306,0               |
|           | შრომის ანაზღაურება                                          | 1307.5          | 1317,0  |                                                       | 1317,0               | 1403,9  |                                                       | 1403,9               |
|           | საქონელი და მომსახურება                                     | 592.4           | 728,6   |                                                       | 728,6                | 653,1   |                                                       | 653,1                |
|           | პროცენტი                                                    | 240.9           | 122,4   |                                                       | 122,4                | 141,0   |                                                       | 141,0                |
|           | სოციალური უზრუნველყოფა                                      | 11.4            |         |                                                       |                      | 15,0    |                                                       | 15,0                 |
|           | სხვა ხარჯები                                                | 6.8             | 12,0    |                                                       | 12,0                 | 93,0    |                                                       | 93,0                 |
|           | არაფინანსური აქტივების ზრდა                                 | 46,6            | 31,4    |                                                       | 31,4                 | 12,0    |                                                       | 12,0                 |
|           | ძირითადი აქტივები                                           | 46,6            | 31,4    |                                                       | 31,4                 | 12,0    |                                                       | 12,0                 |
|           | ვალდებულებების კლება                                        | 4,7             | 165.9   |                                                       | 165.9                | 144,0   |                                                       | 144,0                |
|           | საშინაო                                                     | 4,7             | 165.9   |                                                       | 165.9                | 144,0   |                                                       | 144,0                |



|       |                                                 |        |        |  |        |        |  |        |
|-------|-------------------------------------------------|--------|--------|--|--------|--------|--|--------|
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო                       | 619,3  | 621,0  |  | 621,0  | 657,0  |  | 657,0  |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა                           | 29     | 21     |  | 21     | 21     |  | 21     |
|       | ხარჯები                                         | 612,5  | 615,0  |  | 615,0  | 657,0  |  | 657,0  |
|       | შრომის ანაზღაურება                              | 367,2  | 400,0  |  | 400,0  | 426,7  |  | 426,7  |
|       | საქონელი და მოსმსახურება                        | 241,6  | 211,0  |  | 211,0  | 135,3  |  | 135,3  |
|       | სოციალური უზრუნველყოფა                          | 3,0    |        |  |        | 5,0    |  | 5,0    |
|       | სხვა ხარჯები                                    | 0,6    | 4,0    |  | 4,0    | 90,0   |  | 90,0   |
|       | არაფინანსური აქტივები                           | 5,7    | 6,0    |  | 6,0    | 0,0    |  | 0,0    |
|       | ვალდებულებების კლება                            | 1,2    | 0,0    |  | 0,0    | 0,0    |  | 0,0    |
|       | საშინაო                                         | 1,2    | 0,0    |  | 0,0    | 0,0    |  | 0,0    |
| 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია                           | 1335,6 | 1398,0 |  | 1398,0 | 1470,0 |  | 1470,0 |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა                           | 120    | 104    |  | 104    | 104    |  | 104    |
|       | ხარჯები                                         | 1304,4 | 1372,6 |  | 1372,6 | 1458,0 |  | 1458,0 |
|       | შრომის ანაზღაურება                              | 940,3  | 910,0  |  | 910,0  | 977,2  |  | 977,0  |
|       | საქონელი და მომსახურება                         | 350,8  | 447,6  |  | 447,6  | 467,8  |  | 467,8  |
|       | სოციალური უზრუნველყოფა                          | 8,4    |        |  |        | 10,0   |  | 10,0   |
|       | სხვა ხარჯები                                    | 4,8    | 8,0    |  | 8,0    | 3,0    |  | 3,0    |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა                     | 27,8   | 25,4   |  | 25,4   | 12,0   |  | 12,0   |
|       | ძირითადი აქტივები                               | 27,8   | 25,4   |  | 25,4   | 12,0   |  | 12,0   |
|       | ვალდებულებების კლება                            | 3,4    | 0,0    |  | 0,0    | 0,0    |  | 0,0    |
|       | საშინაო                                         | 3,4    | 0,0    |  | 0,0    | 0,0    |  | 0,0    |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი                                 | 0,0    | 70,0   |  | 70,0   | 50,0   |  | 50,0   |
|       | ხარჯები                                         | 0,0    | 70,0   |  | 70,0   | 50,0   |  | 50,0   |
|       | საქონელი და მომსახურება                         | 0,0    | 70,0   |  | 70,0   | 50,0   |  | 50,0   |
| 01 04 | მ.გ.ფ და სხვა ვალდებულებები                     | 325,2  | 288,3  |  | 288,3  | 285,0  |  | 285,0  |
|       | ხარჯები                                         | 242,3  | 122,4  |  | 122,4  | 141,0  |  | 141,0  |
|       | პროცენტი                                        | 240,9  | 122,4  |  | 122,4  | 141,0  |  | 141,0  |
|       | სხვა ხარჯები                                    | 1,4    |        |  |        |        |  |        |
|       | ვალდებულებების კლება                            | 82,9   | 165,9  |  | 165,9  | 144,0  |  | 144,0  |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 85,7   | 105,0  |  | 105,0  | 101,0  |  | 101,0  |



|       |                                                          |        |        |        |        |         |        |        |
|-------|----------------------------------------------------------|--------|--------|--------|--------|---------|--------|--------|
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                    | 8,0    | 8,0    |        | 8,0    | 8,0     |        | 8,0    |
|       | ხარჯები                                                  | 85.7   | 97.0   |        | 97.0   | 101,0   |        | 101,0  |
|       | შრომის ანაზღაურება                                       | 70.2   | 69.0   |        | 69.0   | 75,0    |        | 75,0   |
|       | საქონელი და მომსახურება                                  | 14.5   | 28,0   |        | 28,0   | 24,0    |        | 24,0   |
|       | სოციალური უზრუნველყოფა                                   | 0,7    |        |        |        | 1,0     |        | 1,0    |
|       | სხვა ხარჯები                                             | 0,3    | 0.0    |        | 0.0    | 1,0     |        | 1,0    |
|       | არაფინანსური აქტივები                                    |        | 8,0    |        | 8,0    | 0,0     |        | 0,0    |
|       | ძირითადი აქტივები                                        |        | 8,0    |        | 8,0    | 0,0     |        | 0,0    |
| 02 01 | საგანგებო სიტუაციების მართვა                             | 0.0    | 0.0    |        | 0.0    | 0.0     |        | 0.0    |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                    |        |        |        |        |         |        |        |
|       | ხარჯები                                                  |        |        |        |        |         |        |        |
|       | შრომის ანაზღაურება                                       |        |        |        |        |         |        |        |
|       | საქონელი და მომსახურება                                  |        |        |        |        |         |        |        |
|       | გრანტები                                                 | 0.0    | 0.0    |        | 0.0    | 0.0     |        | 0.0    |
| 02 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა        | 85.7   | 105,0  |        | 105,0  | 101,0   |        | 101,0  |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                    | 8,0    | 8,0    |        | 8,0    | 8,0     |        | 8,0    |
|       | ხარჯები                                                  | 85.7   | 97.0   |        | 97.0   | 101,0   |        | 101,0  |
|       | შრომის ანაზღაურება                                       | 70.2   | 69.0   |        | 69.0   | 75,0    |        | 75,0   |
|       | საქონელი და მომსახურება                                  | 14.5   | 28,0   |        | 28,0   | 24,0    |        | 24,0   |
|       | სოციალური უზრუნველყოფა                                   | 0,7    |        |        |        | 1,0     |        | 1,0    |
|       | სხვა ხარჯები                                             | 0,3    |        |        |        | 1,0     |        | 1,0    |
|       | არაფინანსური აქტივები                                    |        | 8,0    |        | 8,0    | 0,0     |        | 0,0    |
|       | ძირითადი აქტივები                                        |        | 8,0    |        | 8,0    | 0,0     |        | 0,0    |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 6972,2 | 9190,5 | 4868,5 | 4322,0 | 12058,8 | 6274,8 | 5784,0 |
|       | ხარჯები                                                  | 1417,9 | 1593,3 | 0.0    | 1593,3 | 1645,0  | 0,0    | 1645,0 |
|       | საქონელი და მომსახურება                                  | 1171,3 | 322.7  | 0.0    | 322.7  | 430,0   | 0,0    | 430,0  |
|       | სუბსიდიები                                               | 159,0  | 1141.0 |        | 1141.0 | 1145,0  | 0,0    | 1145,0 |
|       | სხვა ხარჯები                                             | 87,6   | 109,6  | 0.0    | 109,6  | 70,0    | 0,0    | 70,0   |



|          |                                                                                     |        |        |        |        |         |        |        |
|----------|-------------------------------------------------------------------------------------|--------|--------|--------|--------|---------|--------|--------|
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                         | 5234,8 | 7597,2 | 4868,5 | 2728,7 | 10413,8 | 6274,8 | 4139,0 |
|          | ძირითადი აქტივები                                                                   | 5234,8 | 7597,2 | 4868,5 | 2728,7 | 10413,8 | 6274,8 | 4139,0 |
|          | ვალდებულებების კლება                                                                | 319,5  | 0,0    |        | 0,0    | 0,0     | 0,0    | 0,0    |
|          | საშინაო                                                                             | 319,5  | 0,0    |        | 0,0    | 0,0     | 0,0    | 0,0    |
| 03 01    | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა                    | 1834,5 | 4856,8 | 3028,4 | 1828,4 | 4057,4  | 1915,6 | 2141,8 |
|          | ხარჯები                                                                             | 24,1   | 51,9   |        | 51,9   | 100,0   | 0,0    | 100,0  |
|          | საქონელი და სამომსახურება                                                           | 24,1   | 40,0   |        | 40,0   | 100,0   | 0,0    | 100,0  |
|          | სხვა ხარჯები                                                                        | 0,0    | 11,9   |        | 11,9   | 0,0     | 0,0    | 0,0    |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                         | 1810,4 | 4804,9 | 3028,4 | 1776,5 | 3957,4  | 1915,6 | 2041,8 |
|          | ძირითადი აქტივები                                                                   | 1810,4 | 4804,9 | 3028,4 | 1776,5 | 3957,4  | 1915,6 | 2041,8 |
| 03 02    | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა                 | 4306,4 | 4018,7 | 1598,0 | 2420,7 | 6434,7  | 3290,3 | 3144,2 |
|          | ხარჯები                                                                             | 1239,3 | 1533,7 |        | 1533,7 | 1545,0  | 0,0    | 1545,0 |
|          | საქონელი და მომსახურება                                                             | 1123,3 | 282,7  |        | 282,7  | 330,0   | 0,0    | 330,0  |
|          | სუბსიდიები                                                                          | 116,0  | 1161,0 |        | 1161,0 | 1145,0  | 0,0    | 1145,0 |
|          | სხვა ხარჯები                                                                        | 0,0    | 90,0   |        | 90,0   | 70,0    | 0,0    | 70,0   |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                         | 2759,1 | 2485,0 | 1598,0 | 887,0  | 4889,7  | 3290,5 | 1599,2 |
|          | ძირითადი აქტივები                                                                   | 2759,1 | 2485,0 | 1598,0 | 887,0  | 4889,7  | 3290,5 | 1599,2 |
| 03 02 02 | ა(ა)იპ კასპის კეთილმოწყობის ხელშეწყობა                                              | 560,5  | 1025,0 |        | 1025,0 | 1025,0  | 0,0    | 1025,0 |
|          | ხარჯები                                                                             | 560,5  | 1025,0 |        | 1025,0 | 1025,0  | 0,0    | 1025,0 |
|          | საქონელი და მომსახურება                                                             | 560,5  |        |        |        |         | 0,0    |        |
|          | სუბსიდიები                                                                          |        | 1025,0 |        | 1025,0 | 1025,0  | 0,0    | 1025,0 |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                         |        |        |        |        |         | 0,0    |        |
|          | ძირითადი აქტივები                                                                   |        |        |        |        |         | 0,0    |        |
| 03 02 03 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია                                    | 118,7  | 864,9  | 823,5  | 41,4   | 1159,5  | 960,3  | 199,2  |
|          | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                         | 118,7  | 864,9  | 823,5  | 41,4   | 1159,5  | 960,3  | 199,2  |
|          | ძირითადი აქტივები                                                                   | 118,7  | 864,9  | 823,5  | 41,4   | 1159,5  | 960,3  | 199,2  |
| 03 02 04 | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 140,0  | 0,0    | 0,0    | 0,0    | 0,0     | 0,0    | 0,0    |



|          |                                                                                               |        |        |       |       |        |        |       |
|----------|-----------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------|-------|-------|--------|--------|-------|
|          | ხარჯები                                                                                       | 140,0  | 0,0    |       | 0,0   | 0,0    | 0,0    | 0,0   |
|          | საქონელი და მომსახურება                                                                       | 140,0  | 0,0    |       | 0,0   | 0,0    | 0,0    | 0,0   |
|          | სხვა ხარჯები                                                                                  | 0,0    | 0,0    |       | 0,0   | 0,0    | 0,0    | 0,0   |
|          | არაფინანსური აქტივები                                                                         | 0,0    | 0,0    | 0,0   | 0,0   | 0,0    | 0,0    | 0,0   |
